სრული შემადგენლობით

ვოროშილოვგრადი. “ავანგარდის” სტადიონი. 22 ივნისი.

“ზარია” (ვოროშილოვგრადი) _ “დინამო” (თბილისი) _ 0:0.

“ზარია”: ტკაჩენკო, შულჟენკო, გარნუშკინი, აბრამოვი, საბო, შკლიარი, ფომენკო, სემიონოვი, შაკუნი, კუკსოვი, ფურსოვი (შილინი).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (მეტრეველი).

მსაჯი: ვ. ალოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები _ 2:0 “ზარიას” სასარგებლოდ.

როგორც ხედავთ, თბილისელებს “ზარიასთან” სათამაშოდ სრული შემადგენლობა ჰყავდათ (მეტრეველი შესვენების შემდეგ გამოვიდა მინდორზე). მიუხედავად ამისა, არ იგრძნობოდა თბილისის “დინამოს” სრული საბრძოლო “კომპლექტის” ძალა. პირველი 45 წუთის მანძილზე თამაში ძირითადად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა და გამწვავებებს ადგილი არ ჰქონია.

თამაში გამოცოცხლდა შესვენების შემდეგ. თბილისელებმა მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს რამდენიმე საგოლე მომენტის შექმნა. ძნელი ბურთების აღება მოუხდა მეკარე ტკაჩენკოს, ხოლო ერთხელ პეტრიაშვილის დარტყმის შემდეგ ბურთი მასპინძელთა კარის ძელმა მოიგერია. საბოლოოდ, წარმატებას ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია.

“ლელო”, 24 ივნისი, 1970 წ.